ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები ქვემო ქართლის რეგიონში

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women

ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები ქვემო ქართლის რეგიონში

NORWEGIAN MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS

Institute of Social Studies and Analysis

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება წარმოადგენს.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს ხუთ ძირითად მიმართულებაზე აკეთებს: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.

პუბლიკაცია დაიბეჭდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ ფარგლებში, ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. კვლევა ჩაატარა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“.

განსაკუთრებული მადლობა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს იაგო კაჭკაჭიშვილს და მკვლევარს ხატია ნადარაიას. აგრეთვე გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის გუნდს თამარ თავართქილაძეს, თამარ საბედაშვილს, ანა ფაშალიშვილს მათ მიერ გაწეული ხელმძღვანელობისა და დახმარებისთვის.

რედაქტორი: ანა გეგეჩკორი
დაკაბადონება: ნატა ყუბანეიშვილი
ფოტო: მაკა გოგალაძე

კვლევაში გამოყენებულია 2011 წელს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით ჩატარებული კვლევა „ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობები და განწყობები“, რომელიც ჩაატარა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“.

© UN Women 2014
© სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (www.issa-georgia.com) 2014
კვლევა დაბეჭდილია შპს „ფაუნტეინ ჯორჯია“-ს მიერ.

ISBN 978-9941-0-6489-0

წინასიტყვაობა

გლობალური გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებს და გოგონებს, ზოგადად, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი განათლებაზე, რესურსებზე, დასაქმებასა და ჯანდაცვის მომსახურებებზე. ამას გარდა, მამაკაცების მხრიდან მათი დისკრიმინაცია ხდება თავიანთ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ჯერ კიდევ არსებობს გენდერული სტერეოტიპები და ღრმად ფესვგადგმული პრაქტიკები, რაც ქალთა წინა პლანზე წამოწევას აბრკოლებს. უმცირესობის წარმომადგენელი ქალები, რომელთა მიმართ სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას აქვს ადგილი (მაგალითად, შეზღუდული ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ანაზღაურებად სამუშაოებსა და ჯანდაცვის მომსახურებაზე), უფრო დიდი ალბათობით შეიძლება გახდნენ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლები.

2013 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობამ საქართველოში, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტთან“ (ISSA) თანამშრომლობით, *„ქვემო ქართლის რეგიონში ეთნიკური უმცირესობის ქალების საჭიროებების და პრიორიტეტების“* კვლევა განახორციელა. აღნიშნული კვლევა იმ გამოწვევებს და ბარიერებს მიმოიხილავს, რაც ეთნიკური უმცირესობის ქალებს ხელს უშლის, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მიიღონ. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებს გლობალურად ბევრი მსგავსი პრობლემა აქვთ (მაგალითად, მათ არ იციან უმრავლესობის ენა, არ მიუწვდებათ ხელი საბაზისო სოციალურ და იურიდიულ მომსახურებებზე, ასევე დიდია იმ გოგონების რაოდენობა, რომლებიც სკოლას ვერ ამთავრებენ ადრეულ ასაკში ქორწინების გამო), თუმცა, ასევე მიუთითებს, იმ სპეციფიკურ მახასიათებლებზე, როგორიცაა სკოლამდელი დაწესებულებების არარსებობა, რის გამოც ქალებს შემოსავლიანი სამსახურის მოძიება არ შეუძლიათ, ან ქალთა ჯგუფებსა და ადგილობრივ თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს შორის შეზღუდულ თანამშრომლობაზე.

კვლევის მთავარი მიზანი იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების საჭიროებების და გამოწვევების დოკუმენტურად წარმოდგენა და ანალიზი, ასევე პოლიტიკის თაობაზე რეკომენდაციების მიწოდება შესაბამისი ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, რომელთა მოვალეობაშიც შედის ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა, ტოლერანტობის და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა. ჩვენ ასევე ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული მიგნებები სასარგებლო წყარო გახდება მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების განსახორციელებლად სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებისთვის, რომლებიც უმცირესობების უფლებებზე, ასევე გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობენ საქართველოში. და ბოლოს, კვლევის შედეგები უზრუნველყოფს გაეროს ქალთა ორგანიზაციის შემდგომ ინფორმირებულობას საქართველოში თავისი პარტნიორებისთვის მოთხოვნაზე დაფუძნებული ტექნიკური დახმარების გაწევისას.

ერიკა კვაპილოვა
გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი
საქართველოში

სარჩევი

 შემაჯამებელი დასკვნა 7

1. კვლევის მეთოდოლოგია 11

1. 1 რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა 11

1. 2 თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა 12

2. ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქალთა სოციო-დემოგრაფიული დახასიათება 13

2.1 განათლებისა და დასაქმების მდგომარეობა, ქართული ენის ცოდნის დონე 14

2.1.1 განათლების მიღწეული დონე 14

2.1.2 ქართული ენის ცოდნის დონე 15

2.1.3 დასაქმების მდგომარეობა 15

3. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა 18

4. გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება 23

5. ურთიერთობები ოჯახში 26

6. განათლების ხელმისაწვდომობა 32

6.1 საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა და ჩართულობა 34

6.2 სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებებისადმი ხელმისაწვდომობა 36

7. ჯანდაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობა 39

8. ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროები 44

9. სოფლის მეურნეობა 46

10. სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება 49

11. ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართულობა; დასახლებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები 54

12. სამართლებრივი დაცვა 60

ზოგიერთი რეკომენდაცია 64

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის **მიზანია** ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოვლენა (იგულისხმება სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საჭიროებები). გარდა ამისა, კვლევა ითვალისწინებდა სხვადასხვა სოციალური და სამართლებრივი სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის, საჯარო ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ქალთა მონაწილეობის ბარიერების, საოჯახო საქმეების განაწილების არსებული პრაქტიკების და გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულებების შესწავლას.

კვლევა მოიცავს როგორც **თვისებრივ, ისე რაოდენობრივ კომპონენტებს**. თვისებრივი კვლევა განხორციელდა ფოკუს-ჯგუფის (ჯგუფური დისკუსიის) მეთოდის გამოყენებით. თვისებრივ კვლევას ჰქონდა რაოდენობრიი კვლევის დამხმარე ფუნქცია, კერძოდ, რაოდენობრივი კვლევისათვის ემპირიული ინდიკატორების დადგენა.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა **გამოკითხვის**, კერძოდ, **პირისპირ ინტერვიუს მეთოდის** გამოყენებით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი. გამოიკითხნენ ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები (18 წლის და მეტი) ქალები ქ. რუსთავში, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, თეთრიწყაროსა და წალკის რაიონებში. შერჩევითი ერთობლიობის მოცულობაა 500 რესპონდენტი. გამოყენებულ იქნა მრავალსაფეხურიანი სტრატიფიცირებული (კლასტერული) შერჩევა, რომლის მთავარი იდეაა კვლევაში გეოგრაფიული და დემოგრაფიული მახასიათებლების რეპრეზენტატულობა.

გამოკითხვა ჩატარდა 2013 წლის სექტემბერში.

გამოკითხვის ძირითადი მიგნებებია:

სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

- ეთნიკური უმცირესობის ქალთა 7% წერა-კითხვის უცოდინარია, 33%-ს არასრული საშუალო განათლება აქვს, 45%-ს – საშუალო განათლება, 10%-ს – საშუალო-პროფესიული განათლება, 1.4% უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია, ხოლო 5%-ს კი უმაღლესი განათ-ლება აქვს.
- ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ქალებისათვის ქართული ენის არცოდნა და ამ ენაზე კომუნიკაციის შეუძლე-ბლობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ქალთა 63.4% ვერ ახერხებს ქართულად მეტყველებას, წერა-კითხვას და საუბრის გაგებას. აზერბაიჯანელმა ქალებმა უფრო ნაკლებად იციან ქართული, ვიდრე სომხებმა (აზერბაიჯანელთა შორის ქართული ენა არ იცის 65%-მა, ხოლო სომხებს შორის – 59%-მა); სოფლად მცხოვრებმა ქალებმა უფრო ნაკლებად იციან ქართული, ვიდრე ქალაქის მაცხოვრებლებმა. ქართული ენის ცოდნის დონე განსხვავდება რაიონების მიხედვით და ყველაზე დაბალი მარნეულისა და ბოლნისის რაიონებშია.
- ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო ქალთა 91%-თვის ტელევიზიაა; სხვა საინფორმაციო წყაროების (როგორც ძირითადის) ხვედრითი წილი უმნიშვნელოა (მეზობლები და მეგობრები (4.5%), ოჯახის წევრები (1.8%), ინტერნეტი (1.7%) და ა.შ.). ქალების უმრავლესობა (54%) ამბობს, რომ ძირითადად აზერბაიჯანულენოვან ტელევიზიას უყურებს. ძირითადად ქართულე-ნოვან ტელევიზიას ქალთა მხოლოდ 6% უყუ-რებს.
- ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკური უმცირე-სობების ქალთა დასაქმების სუბიექტური თვით-შეფასების მიხედვით და არა დასაქმების ობიექ-ტური კრიტერიუმების მიხედვით, მხოლოდ 14% მიიჩნევს თავს დასაქმებულად.
- ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების ქალთა ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი, მათივე თვითშეფასებით, საშუა-ლოდ 290 ლარია. ოჯახების 5%-ს 100 ლარზე დაბალი საშუალო თვიური შემოსავალი აქვს; ხოლო 40%-ის საშუალო ყოველთვიური შემო-

სავალი 100-200 ლარს შეადგენს. ქალების უმრავლესობას (59%) ყოველთვიური პირადი შემოსავალი არ აქვს. ოჯახების შემოსავლის ძირითად წყაროდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიცაზია (37%) და პენსია (30%) სახელდება. ოჯახის შემოსავლის ძირითადი ნაწილი უმეტეს შემთხვევებში საკვებსა და გადასახადებზე იხარჯება. ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი ნაწილი გადასახადებზე იხარჯება (41%), ხოლო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი ნაწილი – მედიკამენტებზე (49%).

გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება

- ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების ქალთა შორის ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი გენდერული სტერეოტიპები მყარია. ქალთა გამოკვეთილი უმრავლესობა (74%) ეთანხმება დებულებას, რომ ქალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შექმნას ოჯახი და გააჩინოს შვილები, მამაკაცისთვის კი - გაიკეთოს კარიერა და იშოვოს ფული. გენდერული სტერეოტიპების სიმყარეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქალთა 47%-ის მოსაზრებით, ოჯახი უნდა შეინარჩუნო ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ქმარი ძალადობს ცოლზე. მეორე მხრივ, დებულებას, რომ სამსახურში მამაკაცის აყვანა სჯობს, ვიდრე ქალის, რადგან მამაკაცს უფრო ხარისხიანად შეუძლია საქმის კეთება ქალთან შედარებით, რესპონდენტთა მხოლოდ 18% ეთანხმება. ჩანს, რომ ქალების დამოკიდებულება გენდერული თანასწორობისადმი გარემოს მიერაა ნაკარნახევი, საკუთრივ მათ კი დაბალი თვითშეფასება არ აქვთ.
- ეთნიკურ უმცირესობათა ქალებში გავრცელებულია ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა. ქორწინებაში მყოფ ქალთა 32% აცხადებს, რომ 18 წლამდე ასაკში დაქორწინდა. 13-14 წლის ასაკში დაქორწინებულთა ხვედრითი წილი 5%-ია, ხოლო 15-16 წლის ასაკში დაქორწინებულთა ხვედრითი წილი 16%-ს აღწევს.
- ოჯახში ძირითადი შემომტანები მამაკაცები არიან. ქალთა 43% აცხადებს, რომ ფულს მხოლოდ მათი მეუღლე გამოიმუშავებს. ქალებს შორის კი 6% ამბობს, რომ ფულს მხოლოდ თავად გამოიმუშავებენ. შესაბამისად, ეთნიკურ უმცირესობათა ქალების გამოკვეთილი უმრავლესობა (72%) მატერიალურად მეუღლეზეა დამოკიდებული. იმ ქალთა ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ მატერიალურად მეუღლისგან მეტ-ნაკლებად ან სრულიად დამოუკიდებლები არიან, 12%-ს შეადგენს.
- აშკარაა, რომ საოჯახო საქმეების შესრულებაში მამაკაცები ნაკლებად მონაწილეობენ; მათი ძირითადი ვალდებულება ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა და ოჯახისთვის ფინანსებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაა.

ოჯახში ძალადობა

- თითქმის ყოველ კვირა მეუღლეებთან კონფლიქტის ქონას გამოკითხულ ქალთა 3% აღიარებს, ხოლო მეუღლეებთან თვეში რამდენჯერმე კონფლიქტზე ქალთა 6% მიუთითებს
- ქალების უმრავლესობას (სულ მცირე, 51%-ს), ხშირად დიდ უმრავლესობას, მათივე განცხადებით, ბოლო 12 თვის განმავლობაში ოჯახში ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა შემთხვევები (ფორმები) არ გამოუცდია.
- საკითხის სენსიტიურობის მიუხედავად, გამოვლინდა ოჯახში ქალებზე ძალადობის სხვადასხვა პრაქტიკა:
  - ოჯახში ძალადობის პრაქტიკებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმა ყვირილია. რესპონდენტთა 62% აცხადებს, რომ მის მეუღლეს მისთვის ბოლო 12 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც უყვირია (3% უარს ამბობს პასუხზე).
  - ასევე, მეტ-ნაკლებად გავრცელებულია სიტყვიერი შერაცხყოფის პრაქტიკა: ქალების 27% აღნიშნავს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მეუღლემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა (5% – უარი პასუხზე).
  - რესპონდენტთა 10% ღიად აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მისთვის მეუღლეს ერთხელ მაინც უკრავს ხელი (6% – უარი განაცხადა პასუხზე).
  - ქალების 6% აღნიშნავს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მეუღლეს მათთვის გაურტყამს ხელი, უსროლია ნივთი და ა.შ., რამაც მათ ფიზიკური ტკივილი მიაყენა (5% – უარი პასუხზე)
  - ქალების 3% მიუთითებს, რომ ოჯახში ცეცხლსასროლი იარაღით ან დანით დამუქრების შემთხვევა ბოლო 12 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც ჰქონია (4% – უარი პასუხზე).
  - ქალების 1.4% ამბობს, რომ მეუღლეს ჩაუკეტავს ოთახში ან სხვა დახურულ სივრცეში (4% – უარი პასუხზე);

- 6% აღნიშნავს, რომ ქმარს სხვების თანდასწრებით დაუმცირებია;
- 20% მიუთითებს, რომ ქმარს მათთვის რაიმე ნივთის შესაძენად ფულის დახარჯვა აუკრძალავს.

სხვადასხვა ინსტიტუტების და სერვისების/პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა

- სკოლამდელი განათლება: საბავშვო ბაღი ხელმიუწვდომელია იმ ქალთა 80%-თვის, რომლებსაც სკოლამდელი განათლების საჭიროების ასაკის ბავშვები ჰყავთ. იმ ქალთა 83%, რომელთათვისაც საბავშვო ბაღი ხელმიუწვდომელია, აცხადებს, რომ მათ დასახლებაში საბავშვო ბაღი არ არის; ხოლო 9% აღნიშნავს, რომ საბავშვო ბაღი შორსაა და ტრანსპორტირების რესურსები არ აქვთ. სასკოლო განათლება: იმ ქალთა 99%, რომლებსაც სასკოლო ასაკის შვილები ჰყავთ, აცხადებს, რომ მათი შვილებისთვის სასკოლო განათლების მიღება ხელმისაწვდომია. ოჯახთა 1%, რომელთა შვილებისთვისაც სასკოლო განათლება ხელმისაწვდომი არ არის, ამის ძირითად მიზეზად იმას ასახელებს, რომ ბავშვ(ებ)ისთვის ვერ ყიდულობენ ტანსაცმელს/ფეხსაცმელს და სკოლისთვის საჭირო ნივთებს. უმაღლესი განათლება: რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (89%) აცხადებს, რომ ის ან მისი ოჯახის წევრი არ სწავლობს/სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში. ძირითადი მიზეზი, რის გამოც რეპონდენტები (ან მათი ოჯახის ქალი წევრები) უმაღლეს განათლებას არ იღებენ, სწავლის სურვილის არქონაა (49%); ხოლო 14% უმაღლესი განათლების არმიღების მიზეზად დროის არქონას ასახელებს.
- ეთნიკური უმცირესობების ქალთა გამოკვეთილ უმრავლესობას (69%) არ სმენია საქართველოს მთავრობის ინიციატივის შესახებ, მისცენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა შეღავათიანი პირობებით ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში. უმაღლეს სასწავლებელში შეღავათიანი პირობებით ჩარიცხვის პროგრამით რესპონდენტთა 8%-ის ოჯახის წევრს უსარგებლია/სარგებლობს.
- საქართველოში მოქმედი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ეთნიკურ უმცირსობათა ქალები ცუდად არიან ინფორმირებული. ერთადერთი პროგრამა, რომლის შესახებაც ინფორმაციას მეტნაკლებად ფლობენ, საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეების უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფაა (49% ინფორმირებულია); სახელმწიფო სკოლებში ეროვნულ უცმირესობათა ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის შესახებ ინფორმირებულია ქალთა 11%.
- ქალების 14% აცხადებს, რომ მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ ინგლისური ენის სწავლის გაძლიერებისა (საზაფხულო სკოლა) და განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამებით. იკვეთება, რომ ეთნიკური უმცირესობების ქალები არ სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამით – „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის“. ძირითადი მიზეზი, რის გამოც სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებით ვერ სარგებლობენ, ინფორმაციის არქონაა; მიზეზად სახელდება, აგრეთვე, ინფორმაციის დაგვიანებული მიღება.
- ქვემო ქართლში ეთნიკური უმცირესობების ქალთა უმრავლესობისათვის (56-დან 72%-მდე) სხვადსხვა საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები (ბიბლიოთეკები, კინო/თეატრები, ზრდასრულთა განათლების ცენტრები, სხვადასხვა სახელოვნებო წრეები და ა.შ.) ხელმიუწვდომელია. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ, რესპონდენტთა განცხადებით, მათ საცხოვრებელ ადგილას საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები არ არსებობს.
ქალების გამოკვეთილ უმრავლესობას (69%) ბოლო 12 თვის განმავლობაში ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა; მათ შორის 38%-ს – ქრონიკულ დაავადებასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც საჭიროებდა ხანგრძლივ/რეგულარულ მკურნალობას, ხოლო 31%-ს – ჯანმრთლეობის მცირე პრობლემა.
- ჯანდაცვის სფეროში არსებული სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის შესახებ რესპონდენტთა გამოკვეთილ უმრავლესობას ინფორმაცია არ აქვს. სხვა პროგრამებთან შედარებით, მეტად არიან ინფორმირებული „სასწრაფო გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის” შესახებ (37% ინფორმირებულია). რესპონდენტთა 20-21%-ს სმენია ნარკომანიის სახელმწიფო პროგრამის, სოფლის ექიმის პროგრამისა და სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სახელმწიფო პროგრამის შესახებ.
- საქართველოს მთავრობის მიერ განხორციე-

ლებული სოფლის მეურნეობის პროგრამებიდან მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობისა და შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამები, სხვა პროგრამებისგან განსხვავებით, სოფლის მოსახლეობისთვის ნაცნობია; კერძოდ, გამოკითხულთა უმრავლესობას (53.1%) მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმაცია აქვს; მათგან 75.6% აღნიშნული პროგრამით სარგებლობს კიდეც. შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის შესახებ ინფორმაცია გამოკითხულთა 75.5%–ს აქვს; მათგან ამ სახელმწიფო პროგრამით მხოლოდ 23.4% სარგებლობს.

- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ გამოკითხულთა 73.7%–ია ინფორმირებული. სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების მისაღებად განაცხადი გამოკითხულთა ოჯახების მეხუთედს ჰქონდა შეტანილი, ხოლო 26% – აპირებს შეიტანოს. გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან ამჟამად ფულად სოციალურ დახმარებას 5.6%, ხოლო სამედიცინო დაზღვევას სოციალურად დაუცველებისთვის 0.9% იღებს. ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი გამოკითხულთა დაახლოებით 6.5%–ს აქვს.
- ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობისა და მათი მოვალეობების შესახებ არ არის ინფორმირებული გამოკითხულთა 77.6%. სოფლად მცხოვრებ რესპონდენტებს შორის არაინფორმირებული უფრო მეტია (81.4%), ვიდრე – ქალაქელებს შორის (66.4%).

მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი პრობლემები

- გამოვლინდა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც პრობლემატურია ქვემო ქართლის მოსახლეობისთვის. ყველაზე პრობლემური, როგორც აღმოჩნდა, დასაქმებაა (93.6%). მოუგვარებელ პრობლემებს შორის რესპონდენტებმა დაასახელეს გართობის საშუალებების (კინო, თეატრი და ა.შ.) ნაკლებობა (84.5%), საგანმანათლებლო–შემეცნებითი დაწესებულებების (ბიბლიოთეკა, მუზეუმი და ა.შ.) არარსებობა (81.8%), კანალიზაციის მუშაობა (75.3%), სკოლამდელი დაწესებულებების (ბაგა–ბაღი) მუშაობა/არსებობა (66.1%), გზების მოწესრიგება (57.8%), გარე განათება (56.8%) და ნაგვის გატანა (54.9%).
- შედარებით ხშირია სოციალური დახმარების მიცემაზე უარის თქმა (7%), არასწორად დარიცხული კომუნალური გადასახადები (6.9%), სოციალური დახმარების უკანონო შეწყვეტა ან არგაცემა (5.6%), შინაური ცხოველების ქურდობა (4.1%), მაღაზიაში ვაჭრობისას მოტყუება/უხარისხო საქონლის მიყიდვა (3.3%), სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმა/უხარისხო მომსახურების მიწოდება/მომსახურებისას შეცდომების დაშვება (2.3%) და ნივთების ქურდობა ეზოში, ქუჩაში და სხვ. (2.1%).
- ქვემო ქართლის მოსახლეობა სამართლებრივი პრობლემების მოსაგვარებლად პოლიციასა და სასამართლოს იშვიათად მიმართავს. მაგალითად, პოლიციისთვის მხოლოდ 3.6%-ს, ხოლო სასამართლოსთვის – 2.3%–ს მიუმართავს.
- რესპონდენტები მიუთითებენ, რომ პოლიციას არ მიმართავენ მის მიმართ უნდობლობის გამო (43.6%), ან ფიქრობენ, რომ სხვადასხვა სახის დავები/პრობლემები ადამიანებმა პოლიციის ჩარევის გარეშე უნდა გადაწყვიტონ (38.3%). ხოლო სასამართლოს არ მიმართავენ, რადგან არ აქვთ ინფორმაცია მიმართვისთვის აუცილებელი სხვადახვა სახის პროცედურების შესახებ (60.7%) ან ფინანსური პრობლემების გამო (19.1%).
- პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს უფასო იურიდიული მომსახურების შესახებ რესპონდენტთა 91.5%–ს არ სმენია, ხოლო აღნიშნული მომსახურებით არ უსარგებლია 97.6%-ს.

1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოვლენა.

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- ეთნიკური უმცირესობების ქალთა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საჭიროებების გამოვლენა;
- ეთნიკური უმცირესობების ქალთა სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი სერვისებისადმი მისაწვდომობის გამოვლენა;
- საჯარო ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისას ეთნიკური უმცირესობების ქალთა ბარიერების გამოვლენა;
- ეთნიკური უმცირესობების ქალებზე საოჯახო საქმეების განაწილების არსებული მოდელის გავლენის შეფასება;
- ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის იდეებისა და გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი პოლიტიკის მიმართ ეთნიკური უმცირესობების ქალთა განწყობებისა და დამოკიდებულებების გამოვლენა.

კვლევა მოიცავს **რაოდენობრივ და თვისებრივ** კომპონენტებს.

1.1 რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

კვლევის გენერალური ერთობლიობა: ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ქალები (18 წლის და მეტი)
გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი კვლევა
კვლევის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ
კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარი
შერჩევის მოცულობა: 500 რესპონდენტი

ცხრილი №1:
შერჩევის განაწილება

ადმინისტრაციული ერთეულები	ინტერვიუთა რაოდენობა
რუსთავი	24
ბოლნისი	100
გარდაბანი	100
დმანისი	35
მარნეული	195
თეთრიწყარო	12
წალკა	34
სულ	500

შერჩევის ბაზა: საქართველოს ამომრჩეველთა სიები 2012 წლისათვის.

შერჩევის დიზაინი: მრავალსაფეხურიანი სტრატიფიცირებული (კლასტერული) შერჩევა. შერჩევის ამ მოდელის მთავარი იდეაა კვლევაში გეოგრაფიული და დემოგრაფიული მახასიათებლების რეპრეზენტატულობა.

კვლევის საწყის ეტაპზე შედგა შერჩევის დეტალური სქემა, რომელიც მოიცავდა რესპონდენტების განაწილებას რაიონების, ქალაქებისა და სოფლების მიხედვით. საველე სამუშაობის მსვლელობისას ოჯახში რესპონდენტები შეირჩა ბოლო დაბადების დღის მეთოდის გამოყენებით. შერჩევის მსგავსი დიზაინი უზრუნველყოფს შერჩევის შემთხვევითობის მაქსიმალურ დაცვას და, საბოლოო ჯამში, რეპრეზენტატული მონაცემების მიღებას.

კითხვარი: შერჩევის მოდელის დიზაინის პარალელურად მოხდა კვლევის ინსტრუმენტის – კითხვარის შემუშავება. კითხვარი მოიცავდა სხვადასხვა ტიპის კითხვებს: ფორმალიზებულ, ნახევრად ფორმალიზებულ და ღია.

მონაცემების დამუშავება და ანალიზი: თავდაპირველად მოხდა საველე სამუშაოების შედეგად შევსებული კითხვარების კოდირება და ფორმალიზაცია. შემდეგ განხორციელდა მონაცემების კომპიუტერში შეტანა. ფაილის „გაწმენდის" შემდეგ, მონაცემები დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის ფარგლებში. დამუშავებისა და ანალიზისას გამოყენებული იქნა უნივარიაციული და ბივარიაციული ანალიზის ისეთი მეთოდები, როგორიცაა სიხშირული (ერთგანზომილებიანი) განაწილება, ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები, კორელაციური ანალიზი.

1.2 თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

თვისებრივი კვლევა განხორციელდა **ფოკუს -ჯგუფის** (ჯგუფური დისკუსიის) მეთოდის გამოყენებით.

ფოკუს ჯგუფების მიზანი: თვისებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა, რაოდენობრივი კვლევისათვის ემპირიული ინდიკატორების გამოვლენა.

ინსტრუმენტი: ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი (გაიდლაინი).

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში 3 ჯგუფური დისკუსია, ე.წ. ფოკუს ჯგუფი ჩატარდა მარნეულსა და წალკაში. ფოკუს ჯგუფების სამიზნე ჯგუფები იყო აზერბაიჯანელი და სომეხი ქალები, ასევე ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიცაზიათა წარმომადგენლები. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა ე.წ. „თოვლის გუნდის“ მეთოდის გამოყენებით. მონაწილეთა შერჩევისათვის წინასწარ გამოიყო სოციო-დემოგრაფიული კრიტერიუმები. ჯგუფური დისკუსიების წარმართვისას გამოიყენებოდა ე.წ. „community mapping“-ის ტექნიკა.

ჯგუფური დისკუსიების ხანგრძლივობამ შეადგინა საშუალოდ 1.5 საათი. ყველა ფოკუს ჯგუფის მსვლელობა ჩაიწერა ვიდეო ფირზე. პირველადი მასალის დეტალური გაშიფვრის (ტრანსკრიპტის შედგენის) საფუძველზე ჩასწორდა კვლევის ინსტრუმენტი – კითხვარი.

2. ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქალთა სოციო-დემოგრაფიული დახასიათება

გამოკითხულ ქალთა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით გადანაწილების შემდეგი სურათი იკვეთება: 18-24 წლის ასაკობრივ კატეგორიას ეთნიკური უმცირესობების სრულწლოვან ქალთა 14.2% მიეკუთვნება, 25-34 წლის ასაკობრივ კატეგორიას – 18.9%, 35-44 წლის კატეგორიას – 20.3%, 45-54 წლისას – 16.7%, 55-64-სას – 12.6%, ხოლო 65 და მეტი წლის ასაკობრივ კატეგორიას კი – 17.2%.

გამოკითხულ ქალთა 86% ეთნიკურად აზერბაიჯანელია, 12% – ეთნიკურად სომეხი, 2.3% კი – ეთნიკურად რუსი. ქალთა 86% მუსლიმია, 13% გრიგორიანელი, ხოლო 1.3% – მართლმადიდებელი ქრისტიანი. ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქალთა დაახლოებით ორი მესამედი (71%) დაქორწინებულია. სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიების ქალთა ოჯახური მდგომარეობის მიხედვით დახასიათებისას იკვეთება, რომ ახალგაზრდა გოგონებს შორის გავრცელებულია ადრეულ ასაკში ქორწინების ტენდენცია. აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 18-24 წლის ასაკობრივი კატეგორიის გოგონათა 72% დაქორწინებულია. იხ. დიაგრამა №1

დიაგრამა №1:
ასაკობივი კატეგორიების მიხედვით ქალთა ოჯახური მდგომარეობა



2.1 განათლებისა და დასაქმების მდგომარეობა, ქართული ენის ცოდნის დონე

2.1.1 განათლების მიღწეული დონე

ეთნიკური უმცირსობის ქალები ძირითადად საშუალო განათლების მქონენი არიან (45%.) უმაღლესი განათლება მხოლოდ 5%-ს აქვს. წერა-კითხვის უცოდინართა ხვედრითი წილი 7%-ს აღწევს. 33%-ს არასრული საშუალო განათლება აქვს. 10%-ს საშუალო პროფესიული, 1.4% კი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია. იხ. დიაგარამა №2

დიაგრამა №2:
ეთნიკურ უმცირესობების ქალთა განათლების მიღწეული დონე



განათლების მიღწეული დონე კორელაციაშია რესპონდენტთა ასაკთან იხ. ცხრილი №2:

ცხრილი №2:
განათლების დონისა და ასაკობრივი კატეგორიების მიმართება

ასაკობრივი კატეგორიები	წერა-კითხვის უცოდინარი	არასრული საშუალო	საშუალო	საშუალო პროფესიული (ტექნიკუმი, პროფტექნიკუმი)	არასრული უმაღლესი/ უმაღლესი
18-24 წლის	-	14,7%	16,4%	10,4%	20,0%
25-34 წლის	11,4%	22,7%	17,8%	14,6%	20,0%
35-44 წლის	2,9%	12,3%	28,0%	22,9%	23,3%
45-54 წლის	14,3%	13,5%	18,2%	22,9%	13,3%
55-64 წლის	25,7%	8,0%	12,9%	22,9%	6,7%
65 და მეტი წლის	45,7%	28,8%	6,7%	6,3%	16,7%
სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

2.1.2 ქართული ენის ცოდნის დონე

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ქალებისათვის ქართული ენის ცოდნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ქალთა 63.4% ვერ ახერხებს ქართულად მეტყველებას, წერა-კითხვას და საუბრის გაგებას. კვლევის შედეგებიდან იკვეთება, რომ ქართული ენის ცოდნა ორ შემდეგ ცვლადთან არის კავშირში:

- ეთნიკური კუთვნილება – აზერბაიჯანელმა ქალებმა უფრო ნაკლებად იციან ქართული ვიდრე სომხებმა;
- საცხოვრებელი ადგილი – სოფლად მცხოვრებმა ქალებმა უფრო ნაკლებად იციან ქართული, ვიდრე ქალაქის მაცხოვრებლებმა.

აზერბაიჯანელ ქალებს შორის უფრო მეტმა (65%) არ იცის ქართული ენა, ვიდრე სომხებს შორის (59%). ქართული ენის ცოდნის დონე, ერთმანეთისგან განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვითაც. ქალაქად მცხოვრებ ქალებს შორის უფრო მეტი ფლობს ქართულ ენას, ვიდრე სოფლად მცხოვრებთა შორის (იხ. დიაგრამა №3):

დიაგრამა №3:
ქართული ენის ცოდნის დონე დასახლების ტიპისა და ეთნიკური კუთვნილების მიხედვით



ქართული ენის ცოდნის დონე განსხვავდება რაიონების მიხედვით და ყველაზე დაბალი მარნეულისა და ბოლნისის რაიონებშია.

2.1.3 დასაქმების მდგომარეობა

ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებების გამოვლენისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი დასაქმების მდგომარეობის განსაზღვრა. თუმცა, გასათვალისწინებელია დასაქმებულის სტატუსის გაგებასთან დაკავშირებული სირთულე. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების ქალთა დასაქმების მდგომარეობა დახასიათებულია მათი სუბიექტური თვითშეფასების საფუძველზე და არა სტანდარტული კრიტერიუმების საფუძველზე. რესპონდენტთა თვითშეფასებით, მხოლოდ 14%-ია დასაქმებული (იხ.დიაგრამა №4):

დასაქმების მდგომარეობა კორელაციაშია რესპონდენტთა განათლების დონესთან:

- არასრული საშუალო განათლების მქონე ადამიანები ძირითადად დიასახლისები არიან (46%);
- საშუალო განათლების მქონე ადამიანთა უმრავლესობა 52% დიასახლისია;
- უმაღლესი განათლების მქონე ქალებს შორის კი 46% სახელმწიფო ორგანიზაციაშია დასაქმებული.

დიაგრამა №4:

ეთნიკური უმცირესობების ქალთა დასაქმების მდგომარეობა მათი სუბიექტური თვითშეფასების საფუძველზე



3. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია და პენსია სახელდება. ქალთა 37% აცხადებს, რომ მათი ოჯახის შემოსავლის წყარო მათ მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაა, 30% კი ამბობს, რომ შემოსავლის ძირითად წყაროს პენსია წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო კორელაციაში არ არის არცერთ დემოგრაფიულ ცვლადთან. 2011 წლის მონაცემებთან[1] შედარების საუფძველზე იკვეთება, რომ გაზრდილია იმ ქალთა რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროს ოჯახის წევრების ხელფასები/გამომუშავებული ანაზღაურება წარმოადგენს. 2011 წელს, ქალთა 21% აცხადებდა, რომ მათი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო ოჯახის წევრების ხელფასები/გამომუშავებული ანაზღაურება იყო, ხოლო 2013 წელს ქალთა 24% ამბობს, რომ მათი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო ოჯახის წევრების ხელფასები/გამომუშავებული ანაზღაურებაა (იხ.დიაგრამა №5):

დიაგრამა №5:
ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო



1 2011 წელს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“ ქვემო ქართლის რეგიონში ჩაატარა ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების კვლევა, რომლის მიზანი იყო ქვემო ქართლის რეგიონის სოციალური და ეკონომიკური პროფილის შესწავლა.

- ქალაქში/რაიონულ ცენტრში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობისთვის (57%) შემოსავლის ძირითადი წყარო ოჯახის წევრების ხელფასები/გამომუშავებული ანაზღაურებაა.
- სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის კი, ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო მათ მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაა. სოფლად მცხოვრები ქალების 42% აცხადებს, რომ მათი ოჯახი ძირითად შემოსავალს ნატურალური მეურნეობიდან იღებს.

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების ქალთა ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი 290 ლარია. ოჯახების 5%-ს 100 ლარზე დაბალი საშუალო შემოსავალი აქვს. ხოლო 40%-ის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 100-200 ლარს შეადგენს (იხ.დიაგრამა №6):

იმ ადამიანთა საშუალო ყოველთვიური შემოსავალი, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი ოჯახის შემოსავლის წყარო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოწევაა, ძირითადად 100-200 ლარია (47%).

სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას უფრო დაბალი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი აქვს, ვიდრე ქალაქის მაცხოვრებლებს.

- სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 43% აცხადებს, რომ მათი ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი ძირითადად 100-200 ლარია.
- ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის 32% ამბობს, რომ შემოსავალი 100-200 ლარია, ხოლო 34% აცხადებს, რომ მათი ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 301 ლარი და მეტია.

დიაგრამა №6:
ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი



ოჯახის შემოსავლის ძირითადი ნაწილი, უმეტეს შემთხვევებში, საკვებზე, გადასახადებსა და მედიკამენტებზე იხარჯება. რესპონდენტების 39% ამბობს, რომ მათი შემოსავლის ძირითადი ნაწილი საკვებზე იხარჯება, 31% აცხადებს, რომ – გადასახადებზე, ხოლო 17% – მედიკამენტებზე. 2011 წლის მონაცემებთან შედარების საფუძველზე იკვეთება, რომ ოჯახის შემოსავლების ძირითადი დანახარჯების საერთო სურათი არ შეცვლილა, თუმცა, შემცირდა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ შემოსავლის ძირითადი ნაწილი მედიკამენტებზე იხარჯება. 2011 წელს რესპონდენტების 21% აღნიშნავდა, რომ მათი ოჯახის შემოსავლის ძირითადი ნაწილი მედიკამენტებზე იხარჯება.

ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი ნაწილი გადასახადებზე იხარჯება. (41%), ხოლო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი ნაწილი – მედიკამენტებზე (49%).

რაც შეეხება უშუალოდ ქალების ყოველთვიურ საშუალო შემოსავალს, უმრავლესობას (59%) ყოველთვიური პირადი შემოსავალი არ აქვს. 27%-ის საშუალო ყოველთვიური პირადი შემოსავალი 100-200 ლარია. 201-300 ლარი შემოსავალი ქალების მცირე რაოდენობას, 3.3%-ს აქვს. სამს ლარზე მაღალი შემოსავალი კი ქალების მხოლოდ 1.4%-ს აქვს (იხ. დიაგრამა №7):

დიაგრამა №7:
პირადი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი



გამოკითხვა აჩვენებს, რომ ოჯახში ძირითადი შემომტანები შემთხვევათა 40%-ში მამაკაცები არიან, ხოლო შემთხვევათა 22%-ში – ქალები. რესპონდენტთა 19%-ისათვის ძირითადი შემოსავალი პენსიაა. 12.4% აღნიშნავს, რომ ოთახში მთავარი შემომტანები საკუთარი ან მეუღლის მშობლები არიან (იხ. დიაგრამა №8):

დიაგრამა №8:
ოჯახში მთავარი შემომტანი



საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას ქალთა უმრავლესობა (56%) აფასებს როგორც „ცუდს“, „მძიმეს“ ან „ძალიან მძიმეს“. საშუალოზე მაღალ ეკონომიკურ მდგომარეობას ოჯახების 10%-იც კი არ მიაკუთვნებს საკუთარ თავს (იხ. დიაგრამა 9). აქ საუბარია ეკონომიკური მდგომრეობის სუბიექტურ შეფასებაზე რესპონდენტთა მხრიდან და არა ობიექტურ პარამეტრებზე.

დიაგრამა №9:
ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტური შეაფსება



4. გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების ქალთა შორის გენდერული სტერეოტიპები მყარად არის გავრცელებული. ქალთა გამოკვეთილი უმრავლესობა (74%) ეთანხმება დებულებას, რომ ქალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შექმნას ოჯახი და გააჩინოს შვილები, მამაკაცისთვის კი – გაიკეთოს კარიერა და იშოვოს ფული. თუმცა, დებულებას, რომ სამსახურში მამაკაცის აყვანა სჯობს, ვიდრე ქალის, რადგან მამაკაცს უფრო ხარისხიანად შეუძლია საქმის კეთება ქალთან შედარებით, რესპონდენტთა მხოლოდ 18% ეთანხმება. ჩანს, რომ ქალების დამოკიდებულება გენდერული თანასწორობისადმი გარემოს მიერაა ნაკარნახევი, საკუთრივ მათ კი დაბალი თვითშეფასება არ აქვთ. ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების ქალთა შორის გენდერული სტერეოტიპების სიმყარეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქალთა 47%-ის მოსაზრებით ოჯახი უნდა შეინარჩუნო ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ქმარი ძალადობს ცოლზე (იხ. დიაგრამა №10):

დიაგრამა №10:
გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება



რესპონდენტთა 42% აცხადებს, რომ საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა პარლამენტში ამჟამინდელზე მეტი რაოდენობის ქალი იქნება თუ არა. ასევე 42% მიიჩნევს, რომ არ აქვს მნიშვნელობა მინისტრები, სკოლის დირექტორები და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები ქალები უფრო მეტად იქნებიან თუ არა (იხ. დიაგრამა №11). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქალები მხარს უჭერენ ამა თუ იმ თანამდებობაზე ვინმეს დანიშვნას უნარ-ჩვევების (და არა სქესობრივი კუთვნილების) გათვალისწინებით, ან ამ საკითხისადმი ინდიფერენტულად არიან განწყობილები.

დიაგრამა №11:
ქალების პოლიტიკაში ჩართულობის მიმართ დამოკიდებულება



სამსახურეობრივ საკითხებში გენდერის ნიშნით სხვადასხვა სახის დისკრიმინაცია ქალების უმრავლესობას (78-95%) არ გამოუცდია. ქალთა 2% აცხადებს, რომ ზოგჯერ აღმოჩენილა ისეთ სიტუაციაში, როდესაც მის წინადადებებსა და რეკომენდაციებს ნაკლებად ითვალისწინებენ, ვიდრე საწინააღმდეგო სქესისას; ხოლო 2.3% აღნიშნავს, რომ მსგავს სიტუაციაში ხშირად აღმოჩენილა.

5. ურთიერთობები ოჯახში

ეთნიკურ უმცირესობათა ქალებში გავრცელებულია ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა. ქორწინებაში მყოფ ქალთა 32% აცხადებს, რომ 18 წლამდე ასაკში დაქორწინდა. 13-14 წლის ასაკში დაქორწინებულთა ხვედრითი წილი 5%-ია, ხოლო 15-16 წლის ასაკში დაქორწინებულთა ხვედრითი წილი 16%-ს აღწევს (იხ. დიაგრამა №12):

დიაგრამა №12:
ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქალთა ქორწინების ასაკი



პირველი შვილი სრულწლოვანების ასაკამდე (18 წლამდე) ეთნიკური უმცირესობების ქალთა 17%-მა გააჩინა. ქორწინებაში მყოფ ქალთა 9% აცხადებს, რომ პირველი შვილი 15-16 წლის ასაკში გააჩინა (იხ. დიაგრამა №13).

ქალთა 10%-ს 4-5 შვილი ჰყავს, ხოლო 6 და მეტი შვილი – მხოლოდ 2%-ს. გამოკვეთილ უმრავლესობას, 74%-ს 2-3 შვილი ჰყავს, ხოლო ერთი შვილი ქალთა 14%-ს ჰყავს.

დიაგრამა №13:
პირველი შვილის გაჩენის ასაკი



ქალთა 99% აცხადებს, რომ მათი ცხოვრების მანძილზე ქორწინებაში ერთხელ იყვნენ. მხოლოდ 1% (4 ქალი) აცხადებს, რომ ორჯერ დაქორწინდა. ამჟამინდელ მეუღლესთან/სტაბილურ პარტნიორთან ურთიერთობას ქალები ზოგადად უფრო პოზიტიურად აფასებენ, ვიდრე ნეგატიურად. მეუღლესთან/სტაბილურ პარტნიორთან ურთიერთობას ქალების მხოლოდ 1% აფასებს უარყოფითად. უმრავლესობა (52%) მუეღლესთან/პარტნიორთან ურთიერთობას აფასებს, როგორც უფრო დადებითს, ვიდრე უარყოფითს, ხოლო, 29% – როგორც დადებითს.

ოჯახში ძირითადი შემომტანები მამაკაცები არიან. ქალთა 43% აცხადებს, რომ ფულს მხოლოდ მათი მეუღლე გამოიმუშავებს; გამოკითხული ქალების მხოლოდ 6% ამბობს, რომ ფულს მხოლოდ თავად გამოიმუშავებენ (იხ. დიაგრამა №14). ეთნიკურ უმცირესობათა ქალების გამოკვეთილი უმრავლესობა (72%) მატერიალურად მეუღლეზეა დამოკიდებული. იმ ქალთა ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ მატერიალურად მეუღლისგან მეტ-ნაკლებად ან სრულიად დამოუკიდებლები არიან, 12%-ს შეადგენს.

დიაგრამა №14:
მეუღლეებს შორის ვინ უფრო მეტ თანხას გამოიმუშავებს



იმ ფონზე როცა, ქალების 81% ამჟამინდელ მეუღლესთან/ სტაბილურ პარტნიორთან ურთიერთობას დადებითად ან უფრო დადებითად აფასებს, ხოლო ფინანსური შემომტანები კი ძირითადად მამაკაცები არიან, საინტერესოა საოჯახო საქმეების განაწილების მოდელები და ოჯახში სხვადასხვა საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ვინაობა.

იკვეთება სფეროები, რომლებშიც გადაწყვეტილებებს ძირითადად მამაკაცები იღებენ ესენია:

- ბანკიდან/მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან კრედიტის აღება (რესპონდენტთა 43%-ის მიხედვით, ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას ოჯახის მამაკაცი წევრები იღებენ, ხოლო, 7%-ის მიხედვით – ქალები);
- ოჯახურ ბიზნეს/სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები (სასუქის, ქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა-დაქირავება და ა.შ.) აღება (რესპონდენტთა 40%-ის მიხედვით, ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას ოჯახის მამაკაცი წევრები იღებენ, ხოლო, ხოლო 9%-ის მიხედვით – ქალები);

მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევათა 49%-ში ოჯახის მამაკაცი და ქალი წევრები ერთობლივად წყვეტენ ყოველდღიური საჭიროებებისათვის ფინანსების განკარგვის საკითხებს, ამ საკითხში მამაკაცების (ქალების გარეშე) ჩართულობა (29%) აჭარბებს ქალების ჩართულობას (15%). იგივე შეიძლება ითქვას ჯანდაცვისა და მკურნალობის ხარჯებზე, შემთხვევათა 26%-ში გადაწყვეტილებას მამაკაცები დამოუკიდებლად იღებენ, ხოლო ქალები გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად შემთხვევათა 9%-ში იღებენ.

რესპონდენტთა განცხადებით, შემთხვევათა უმრავლესობაში ოჯახის მამაკაცი და ქალი წევრები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას შემდეგი საკითხების შესახებ:

- შვილის გაჩენა;
- შვილის ქორწინება;
- ოჯახისთვის მნიშვნელოვანი ნივთების შეძენა;
- ოჯახის მიერ საცხოვრებლის გამოცვლა;
- შვილების განათლება;
- ჯანდაცვის/მკურნალობის ხარჯები.

ქალები დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ყველაზე ხშირად ოჯახისათვის მნიშვნელოვანი ნივთების შეძენის შესახებ იღებენ (იხ. დიაგრამა №15):

დიაგრამა №15:
ოჯახში სხვადასხვა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღები პირები



აშკარაა, რომ საოჯახო საქმეების შესრულებაში მამაკაცები ნაკლებად მონაწილეობენ, მათი ძირითადი ვალდებულება ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა და ოჯახისთვის ფინანსებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაა.

საოჯახო საქმეების გადანაწილების მოდელის განხილვისას იკვეთება ე.წ. „ქალის და კაცის საქმეები". ქალებს მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ შემდეგი საქმეების შესრულებაზე:

- სახლის დასუფთავება;
- წყლის მოზიდვა;
- რეცხვა;
- საჭმლის მომზადება;
- ბავშვზე ზრუნვა (ასევე ბავშვისთვის საშინაო დავალების მომზადებაში დახმარება);
- ავადმყოფის მოვლა (ასევე, მოხუცზე ზრუნვა).

მამაკაცები (საჭიროების შემთხვევაში) მთავარი პასუხისმგებლობას იღებენ შემდეგი საქმეების შესრულებაზე:

- სახლის მომარაგება გასათბობი საშუალებებით;
- სახლის შეკეთება.

დეტლურად მონაცემები იხ. დიაგრამაზე №16:

დიაგრამა №16:
ქალებსა და მამაკაცებს შორის საოჯახო საქმეების გადანაწილების მოდელი



გადაწყვეტილებების მიღებისა და საოჯახო საქმეების გადანაწილების არსებული მოდელის პირობებში საინტერესოა, რა სახის ურთიერთობები არსებობს ოჯახის წევრებს შორის. კითხვაზე, როგორი ურთიერთობები ჩამოყალიბდა თქვენს ოჯახში, ოჯახის წევრებს შორის? – რესპონდენტთა 72% პასუხობს, რომ მათი ოჯახის წევრებს შორის ძირითადად კარგი ან უფრო კარგი ურთიერთობებია. რესპონდენტთა მხოლოდ 4% აღნიშნავს, რომ მათ ოჯახში ძირითადად კონფლიქტური ან უფრო კონფლიქტური ურთიერთობები ჩამოყალიბდა.

მეუღლეებთან/პარტნიორებთან კონფლიქტი თითქმის ყოველ კვირა ქალთა 3%-ს აქვს (მათივე აღიარებით), ხოლო თვეში რამდენჯერმე – ქალთა 6%-ს (იხ. დიაგრამა №17):

ოჯახში ძალადობის აღმწერ კითხვებზე პასუხებიდან გამომდინარე, ქალების უმრავლესობას ბოლო 12 თვის განმავლობაში ოჯახში ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა შემთხვევები არ გამოუცდია. რესპონდენტთა 10% ღიად აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მისთვის მეუღლეს ერთხელ მაინც უკრავს ხელი (6% – უარი პასუხზე); ქალების 6% აღნიშნავს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მათ მეუღლეს მათ მიმართ მოუმოქმედებია ისეთი რამ (ხელის გარტყმა, ნივთის სროლა და სხვ.), რამაც ფიზიკური ტკივილი მიაყენა მათ (5% - უარი პასუხზე); – ქალების 3% ამბობს, ცეცხლსასროლი იარაღით ან დანით დამუქრების პრაქტიკა ბოლო 12 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც ჰქონია (4% – უარი პასუხზე); ოჯახში ძალადობის პრაქტიკებს შორის ყველაზე გავრცელებული ტიპია ფსიქოლოგიური ძალადობა, ხოლო ამგვარი ძალადობის ფორმებს შორის – ყვირილი. რესპონდენტთა 62% აცხადებს, რომ მის მეუღლეს მისთვის ბოლო 12 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც უყვირია (3% – უარი პასუხზე); ასევე, გავრცელებულია სიტყვიერი შეურაცხყოფის პრაქტიკა: ქალების 27% აღნიშნავს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მეუღლემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა (5%-უარი პასუხზე); რესპონდენტების მხოლოდ 1.4% ამბობს, რომ მეუღლეს ჩაუკეტავს ოთახში ან სხვა დახურულ სივრცეში (4%-უარი პასუხზე); 6% აღნიშნავს, რომ მეუღლეს სხვების თანდასწრებით დაუმცირებია; 20% კი აღნიშნავს, რომ მეუღლეს მათთვის რაიმე ნივთის შესაძენად ფულის დახარჯვა აუკრძალავს (იხ. დიაგრამა №18):

დიაგრამა №17:
მეუღლეებთან კონფლიქტის ქონის სიხშირეთა განაწილება



დიაგრამა №18:
ოჯახში ძალადობის სხვადასხვა პრაქტიკების სიხშირული განაწილება



6. განათლების ხელმისაწვდომობა

საბავშვო ბაღი ხელმიუწვდომელია იმ ქალთა 80%-ისთვის, რომლებსაც სკოლამდელი განათლების საჭიროების ასაკის ბავშვები ჰყავთ. იმ ქალთა 83%, რომელთათვისაც საბავშვო ბაღი ხელმიუწვდომელია, აცხადებს, რომ მათ დასახლებაში საბავშვო ბაღი არ არის, ხოლო 9% აღნიშნავს, რომ საბავშვო ბაღი შორსაა და ტრანსპორტირების რესურსები არ აქვთ (იხ. დიაგრამა №19):

დიაგრამა №19:
საბავშვო ბაღისადმი ხელმისაწვდომობა



იმ ქალთა 99%, რომლებსაც სასკოლო ასაკის შვილები ჰყავთ, აცხადებს, რომ მათი შვილებისთვის სასკოლო განათლების მიღება ხელმისაწვდომია. 1%, რომელთა შვილებისთვისაც სასკოლო განათლება ხელმისაწვდომი არ არის, ამის ძირითად მიზეზად იმას ასახელებს, რომ ბავშ(ებ)ისთვის ვერ ყიდულობენ ტანსაცმელს/ფეხსაცმელს და სკოლისთვის საჭირო ნივთებს (იხ. დიაგრამა №20):

დიაგრამა №20:
სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობა



რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (89%) აღნიშნავს, რომ ის ან მისი ოჯახის წევრი არ სწავლობს/სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში. ძირითადი მიზეზი, რის გამოც რესპონდენტები, ან მათი ოჯახის წევრები უმაღლეს განათლებას არ იღებენ, ქალების 49%-ის განცხადებით, სწავლის სურვილის არქონაა; 14% უმაღლესი განათლების არმიღების მიზეზად დროის არქონას ასახელებს (იხ. დიაგრამა №21):

დიაგრამა №21:
უმაღლესი განათლების მიღების მაჩვენებლები და უმაღლესი განათლების არმიღების მიზეზები



ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა ქალები უმაღლეს განათლებას ძირითადად აზერბაიჯანსა (47%) და თბილისში (28%) იღებენ. სომხეთში განათლების მიმღებთა ხვედრითი წილი 15%-ია.

რესპონდენტთა 15% აცხადებს, რომ უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან დაკავშირებით პრობლემა შექმნია მას ან მისი ოჯახის წევრს. უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან დაკავშირებით რესპონდენტები ორ ძირითად პრობლემას გამოყოფენ, ესენია:

- უმაღლესი სასწავლებლის სიძვირე (გადასახადი);
- საცხოვრებლისა და ტრანსპორტირების ხარჯები.

შემთხვევათა 41%-ში პრობლემა, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან დაკავშირებით შექმნიათ, სასწავლებლის სიძვირე/გადასახადია; ხოლო შემთხვევათა 28%-ში – საცხოვრებლისა და ტრანსპორტირების ხარჯები (იხ. დიაგრამა №22):

დიაგრამა №22:
უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან დაკავშირებით პრობლემათა სიხშირული განაწილება



6.1 საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა და ჩართულობა

ეთნიკური უმცირესობების ქალთა გამოკვეთილ უმრავლესობას (69%) არ სმენია საქართველოს მთავრობის ინიციატივის შესახებ, მისცენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა შეღავათიანი პირობებით ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში. 2011 წლის მონაცემების მიხედვით, ქალთა 81% აცხადებდა, რომ არ სმენია საქართველოს მთავრობის აღნიშნული ინიციატივის შესახებ. უმაღლეს სასწავლებელში შეღავათიანი პირობებით ჩარიცხვის პროგრამით რესპონდენტთა 8%-ის ოჯახის წევრს უსარგებლია/სარგებლობს, ხოლო 2011 წლის მონაცემების მიხედვით ქალთა 4%-მა მიუთითა, რომ მის ოჯახის წევრს უმაღლეს სასწავლებელში შეღავათიანი პირობებით ჩარიცხვის პროგრამით უსარგებლია.

საქართველოში მოქმედი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ეთნიკურ უმცირსობათა ქალები ნაკლებად არიან ინფორმირებული. ერთადერთი პროგრამა, რომლის შესახებაც ინფორმაციას ფლობენ, საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეების უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფაა. ასევე, სხვა პროგრამებთან შედარებით, მეტად არიან ინფორმირებული სახელმწიფო სკოლებში ეროვნულ უცმირესობათა ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის შესახებ (11%) (იხ. დიგრამა №23):

დიაგრამა №23:
საქართველოში მოქმედი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ეთნიკური უმცირსობების ქალთა ინფორმირებულობა



ქალების 14% აცხადებს, რომ მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ ინგლისური ენის სწავლის გაძლიერების პროგრამით (საზაფხულო სკოლა) და განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამით. იკვეთება, რომ ეთნიკური უმცირესობების ქალები არ სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამით – „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის“ (იხ. დიაგრამა №24):

დიაგრამა №24:
სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებით სარგებლობის სიხშირული განაწილება



სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებით ვერსარგებლობის ძირითადი მიზეზი ინფორმაციის არქონა ან ინფორმაციის დაგვიანებული მიღებაა (იხ. დიაგრამა №25):

დიაგრამა №25:
სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებით არ სარგებლობის ძირითადი მიზეზები



6.2 სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებებისადმი ხელმისაწვდომობა

ეთნიკური უმცირესობების ქალთა უმრავლესობისათვის სხვადსხვა საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები, როგორებიცაა: ბიბლიოთეკები, კინო/თეატრები, ზრდასრულთა განათლების ცენტრები, სხვადასხვა სახელოვნებო წრეები და ა.შ., ხელმიუწვდომელია. ამის ძირითადი მიზეზი მათ საცხოვრებელ ადგილას საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების არარსებობაა (იხ. დიაგრამა №26):

დიაგრამა №26:

სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებებისადმი ეთნიკური უმცირესობების ქალთა ხელმისაწვდომობა



7. ჯანდაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობა

ქალების გამოკვეთილ უმრავლესობას (69%) ბოლო 12 თვის განმავლობაში ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა. მათ შორის 38%-ს – ქრონიკულ დაავადებასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც საჭიროებდა ხანგრძლივ/რეგულარულ მკურნალობას. ხოლო 31%-ს – ჯანმრთლეობის მცირე პრობლემა. პრაქტიკულად ჯანმრთელი, ქალთა სუბიექტური თვითშეფასებით, 25%-ია (იხ. დიაგრამა №27):

დიაგრამა №27:
ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში



ჯანდაცვის სფეროში არსებული სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის შესახებ რესპონდენტთა გამოკვეთილ უმრავლესობას არ სმენია. სხვა პროგრამებთან შედარებით, მეტად არიან ინფორმირებული „სასწრაფო გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის" შესახებ. რესპონდენტთა 37% აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელის შესახებ სმენია. რესპონდენტთა 20-21%-ია ინფორმირებული ნარკომანიის სახელმწიფო პროგრამის, სოფლის ექიმის პროგრამისა და სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სახელმწიფო პროგრამის შესახებ (იხ. დიაგრამა №28):

დიაგრამა №28:
ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა



რესპონდენტთა პასუხებიდან იკვეთება, რომ ისინი და მათი ოჯახის წევრები ჯანდაცვის მხოლოდ რამდენიმე პროგრამით სარგებლობენ, ესენია: სასწრაფო გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა, სოფლის ექიმის პროგრამა და სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სახელმწიფო პროგრამა (იხ. დიაგრამა №29):

დიაგრამა №29:

ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის სიხშირული განაწილება



სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებების მიღების თვალსაზრისით, როგორებიცაა: ამბულატორიული მკურნალობა დიაგნოსტიკური გამოკვლევები, ჰოსპიტალური მკურნალობა და მედიკამენტებით მკურნალობა, ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი მომსახურების ღირებულებაა (იხ. დიაგრამა №30):

დიაგრამა №30:

ბოლო 12 თვის განმავლობაში რამდენად შეგიშალათ ხელი თითოეულმა ჩამოთვლილმა ფაქტორმა იმაში, რომ თქვენ მიგეღოთ საჭირო სამედიცინო მომსახურება:



